საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია კოპალეიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	88	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის მაია კოპალეიშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის მაია კოპალეიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი მაია კოპალეიშვილი არის კორექტული, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამასთან, მას გააჩნია პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ ან სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ მიღწევებს გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, მის მიმართ დისციპლინური ან ადმინისტრაციული წარმოება
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			არ ყოფილა განხორციელებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20	მაია კოპალეიშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი კარგად ფლობს კონსტიტუციურ სამართალს. ასევე, მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომ იგი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მაია კოპალეიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება. ამასთან იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარით.
წერის უნარი	19	20	მაია კოპალეიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი ნათლად და თანმიმდევრულად აანალიზებს საკითხებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ცხადი და არაორაზროვანი, ტექსტი არის გამართული.

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/693.857, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, 2016 წ., „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018 წ., „ადმინისტრაციული გარიგება“, თბილისი, 2003 წ.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან, იგი არის ღია, მშვიდი, გაწონასწორებული და გააჩნია სხივი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. თუმცა, საჯარო მოსმენაზე მას ზოგიერთ შემთხვევაში გაუჭირდა პოზიცია გადმოეცა ნათლად და მსმენელისთვის გასაგები ენით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	მაია კოპალეიშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობითა და პროდუქტიულობით და გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლიდან - 2019 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდში, კანდიდატი მონაწილეობდა 170 საქმის განხილვაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მისი მონაწილეობით მიიღო 32 გადაწყვეტილება, 80 განჩინება და 68 საოქმო ჩანაწერი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგებში, კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებსა თუ საგრანტო პროექტებში.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. ამასთან, მაია კოპალეიშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და წარმოადგენს სხვადასხვა სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორს/თანავტორს.
ქულათა ჯამი	88	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მაია კოპალეიშვილი		

	კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მაია კოპალეიშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, მაია კოპალეიშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ მაია კოპალეიშვილის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილის პიროვნულ თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი და პირადი ხასიათის ურთიერთობა აფასებენ დადებითად. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, ერთგული და გულისხმიერი. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოსმენაზე მაია კოპალეიშვილმა დატოვა კორექტული და გაწონასწორებული პიროვნების შთაბეჭდილება. კანდიდატის მხრიდან პასუხისმგებლობის სათანადოდ შეგნებასთან და მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დაწესებულებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად იგი ჯეროვნად ასრულებს სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კერძოდ, მას უარყოფითი საკრედიტო ისტორია არ უფიქსირდება, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია, საგზაო მოძრაობის დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს იგი იხდის დროულად და სხვ. *<u>რაც შეეხება კანდიდატის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* ამის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილი არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად

	მიღების უნარი. ამასთან კანდიდატის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა დამოუკიდებლობით, სამართლიანობითა და მიუკერძოებლობით. მაია კოპალეიშვილის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი შესაძლებელია აღინიშნოს, რომ იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელია ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აგრეთვე, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატის დახასიათებისას აღნიშნავენ, რომ იგი არის გაწონასწორებული, შრომისმოყვარე და პროფესიული პრინციპების ერთგული. ამასთან, საჯარო მოსმენაზე მაია კოპალეიშვილმა სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხზე მსჯელობისას დატოვა თავდაჭერილი და თავაზიანი პიროვნების შთაბეჭდილება. კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოვლინდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. რაც შეეხება *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს</u>* კანდიდატის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში მაია კოპალეიშვილის შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან, პირად კონტაქტებთან და ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და სხვ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ მაია კოპალეიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით* უნდა აღინიშნოს, რომ მაია კოპალეიშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი კარგად ფლობს კონსტიტუციურ სამართალს. ასევე, მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომ იგი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მაია კოპალეიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 23 დეკემბერს მაია კოპალეიშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. აღსანიშნავია, რომ იგი იყო თავდაჯერებული, გაწონასწორებული და კორექტული. თუმცა, მაია კოპალეიშვილის მიერ გაცემული პასუხები ყოველთვის არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. ამასთან, გარკვეულ საკითხებზე საუბრისას იგი ვერ ახერხებდა სიღრმისეული და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის

[2] იხ. მაია კოპალეიშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=7Ae5X_S321Q

	განვითარებას. უნდა ითქვას, ისიც, რომ ზოგჯერ მის მიერ გაცემული პასუხები არ იყო მყარი, ცხადი და ნათელი. კანდიდატის *სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. მაია კოპალეიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, იგი ნათლად და თანმიმდევრულად აანალიზებს საკითხებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ცხადი და არაორაზროვანი. ტექსტი არის გამართული და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. კანდიდატის *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მაია კოპალეიშვილს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან იგი არის ღია, მშვიდი, გაწონასწორებული და შეუძლია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენა. თუმცა, საჯარო მოსმენაზე მას ზოგჯერ უჭირდა, მისი პოზიციის ნათლად და გასაგები ენით გადმოცემა. მაია კოპალეიშვილის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით* მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან - 2019 წლის 5 დეკემბრამდე პერიოდში , საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა 170 საქმის განხილვაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მისი მონაწილეობით მიიღო 32

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/693.857, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, 2016 წ., „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018 წ., „ადმინისტრაციული გარიგება“, თბილისი, 2003 წ.

	გადაწყვეტილება, 80 განჩინება და 68 საოქმო ჩანაწერი. კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მაია კოპალეიშვილი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. მას აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, კანდიდატი წარმოადგენს სხვადასხვა სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორს/თანავტორს. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, კანდიდატ მაია კოპალეიშვილთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 88 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასა და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021